

სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 33

ქ.თბილისი

19 მაისი 2016 წელი

საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მ. თავზარაშვილმა, კომისიის წევრების: ლ. თავართქილაძის, ს. სულხანიშვილის, ე. ნაჭყებიას, ვ. სამხარაძის და ი. ჩიქავას მონაწილეობით, მ/წლის 19 მაისს შევადგინეთ ოქმი შემდეგზე:

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშუაგბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმი და მთავარი მსაჯის ნ. ამაშუკელის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

ამა წლის 14 მაისს გაიმართა „ბ“ ლიგის მატჩი, თბ „ხვამლი“-სა და კიკეთის „იუნკერებს“ შორის. მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმის და მთავარი მსაჯის ნ. ამაშუკელის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვისას გამოირკვა, კლუბ თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელები დავით ცხვედიანი და გიორგი მეტრეველი მატჩის მსვლელობისას აპელირებდნენ მსაჯების გადაწყვეტილებებზე, რამაც შედეგად მაყურებელთა მხრიდან მსაჯების მიმართ, აგრესიული და შეურაცხმყოფელი საქციელი გამოიწვია.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.1 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ს 1.1 პუნქტებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. კლუბ თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელი დ. ცხვედიანი დისკვალიფიცირებულ იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.  
შენიშვნა: თუ სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი ფინანსური სანქცია კლუბის (გუნდის) მიერ არ იქნა დაფარული მომდევნო ტურის მატჩამდე, მაგრამ არაუმეტეს 7 კალენდარულის დღისა, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.1 პუნქტი და კლუბ თბ „ხვამლს“ დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.
2. კლუბ თბ „ხვამლი“-ს მწვრთნელი გ. მეტრეველი დისკვალიფიცირებულ იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.  
შენიშვნა: თუ სადისციპლინო კომისიის მიერ გამოტანილი ფინანსური სანქცია კლუბის (გუნდის) მიერ არ იქნა დაფარული მომდევნო ტურის მატჩამდე, მაგრამ არაუმეტეს 7 კალენდარულის დღისა, ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის

დანართი №1-ის 1.1 პუნქტი და კლუბ თბ „ხვამლს“ დააკლდება 3 (სამი) საცხრილო ქულა.

3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 1.4 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლუბის მიმართ ამოქმედებული იქნება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სადისციპლინო სანქციები.

~~7. ავაქაძე~~ /მ. თავართქილაძე/  
/ს. სულხანიშვილი/  
1. ნაჭყელია /  
ი. ჩიქავა /  
3. სამხარაძე /  
/მ. თავზარაშვილი/

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე